



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #28 ოქტომბერი, 2013

გამოშვებაში წაიკითხავთ

- 1 ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებულ მენეჯერები
- 2 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ კომპანიები და მენეჯერები
- 2 ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტი
- 3 კონკურსი ჟურნალისტებისთვის: ელ-მმართველობა საქართველოში

GITI 2013


მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებულ მენეჯერის სტატუსი მიიღეს



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს 4 ახალი CISM (ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერი) ჰყავს. ევროკავშირის დამშობილების პროექტის ხელშეწყობით, სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი და მიმდინარე წლის სექტემბერში წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა ქ. სტამბულში, რის შემდეგაც მათ მიენიჭათ ISACA-ს ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერის სტატუსი.

„ჩვენი გუნდისთვის ეს დიდი წარმატებაა. ISACA-ს მიერ სერტიფიცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერები IT სფეროში მსოფლიო მასშტაბით სარგებლობენ ნდობითა და აღიარებით. ჩვენ სერიოზულად მოვემზადეთ აღნიშნული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის და შედეგად შესაბამისი მივიღეთ. ჩვენს გუნდში ISACA-ს მიერ სერტიფიცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერების ყოლა კიდევ უფრო გაზრდის როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, ისე მისი სტრუქტურის - CERRT.GOV.GE პროდუქტიულობას.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

ISACA-ს შესახებ: როგორც დამოუკიდებელი, არაკომერციული, გლობალური ასოციაცია, ISACA მსოფლიო მასშტაბით ახდენს საინფორმაციო სისტემების შესახებ ცოდნისა და საუკეთესო გამოცდილების დისტრიბუციას. ISACA დაარსდა 1969 წელს.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge




www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის უფლებამოსილების დამადასტურებელი სერტიფიკატი გასცა



მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჩატარებული ტრენინგებისა და შესაბამისი ტესტირების საფუძველზე ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერის სტატუსი 17 კანდიდატს მიანიჭა. აღნიშნული სტატუსის მქონე თანამშრომლის ყოლა საჯარო ან კერძო ორგანიზაციას შესაძლებლობას აძლევს ეფექტიანად აკონტროლოს ორგანიზაციის ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „იუ-ჯი-თი“ ასევე მიენიჭა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის უფლებამოსილება, რომლის მოქმედების ვადაც 3 წლით განისაზღვრა.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო აგრძელებს საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვის პროცესის მხარდაჭერას. 30-ზე მეტი საჯარო უწყების წამრომადგენლებისთვის ჩვენი ორგანიზებით უკვე ჩატარდა ტრენინგების ციკლი და შესაბამისი ტესტირება. შედეგად, სხვადასხვა საჯარო უწყებას უკვე ჰყავს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ჩვენმა სააგენტომ, შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების შემდეგ, კერძო კომპანიისთვის გასცა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის უფლებამოსილების დამატასტურებელი სერტიფიკატი.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

დამმობილების (TWINNING) პროექტი: მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტის ვერსიაზე მუშაობა დაასრულა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების (Twinning) პროექტის „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში დაასრულა ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტის ვერსიაზე მუშაობა.

სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის ბოლო ეტაპზე, ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად შეთანხმდა დოკუმენტის ლეგალური ჩარჩო. ელ-საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტში ასახულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების, მათი გამოყენებისა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების მასტიმულირებელი აქტივობები.

იდენტიფიცირებულ იქნა ელ-მმართველობის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი პროექტების ჩამონათვალი, ბიზნესისა და საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობისა და საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ტექნიკური გარემოს საკითხები.

„დამმობილების პროექტის ფარგლებში ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი. ჩვენ გვაქვს ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომლის პრეზენტაციაც უახლოეს მომავალში გაიმართება. სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებისა და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მოხდეს ელ-საქართველოს სტრატეგიის რეალური განხორციელება.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

დადმობილების (TWINNING) პროექტი: მედია კონკურსი - „ელ-საქართველო - მომავალი იწყება ახლა“/ელ-მმართველობა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში

ელ-მმართველობა თანამედროვე სახელმწიფოსა და მომხმარებელზე ორიენტირებული ეფექტური საჯარო ადმინისტრაციის სინონიმია. კონკურსის მიზანია გამოავლინოს ჟურნალისტური ნაშრომი, რომელიც ხელს უწყობს ელ-მმართველობის, ელ-სერვისების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კიბერ უსაფრთხოების ცნებებისა და ღირებულებების უკეთ გაგებას.

კატეგორიები და პრიზები:

შესაძლებელია მონაწილეობის მიღება შემდეგ კატეგორიებში:

- საუკეთესო სტატია (გაზეთი, ჟურნალი, ვებ-გვერდი);
- საუკეთესო აუდიო-ვიზუალური სიუჟეტი (სატელევიზიო, იუტუბი (YouTube) ან რადიო - და არა ცალკეული ინტერვიუ);
- საუკეთესო სოციალური მედიის პროფილი/ბლოგი.

თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებულს გადაეცემა სერტიფიკატი და მიენიჭება ევროკავშირის დადმობილების (TWINNING) პროექტის შესახებ საუკეთესო მედიაპროდუქტის ავტორის სტატუსი. ასევე დაჯილდოვდება ფულადი პრიზით - 1000 ლარის ოდენობით.

მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობები:

მცირე ფორმატის განაცხადი (სახელი, გვარი, ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომერი და მოკლე ავტობიოგრაფია/CV, ერთი განაცხადი ერთ კატეგორიაზე);

ნაშრომის წარმოდგენა (ქართულად ან ინგლისურად), რომელიც გამოქვეყნებული უნდა იყოს 2013 წლის განმავლობაში);
კატეგორია „საუკეთესო სტატია“: მინიმუმ 700 სიტყვა. სტატიის ბმული ან გაზეთისა თუ ჟურნალის სახელწოდება, რომელშიც აღნიშნული სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა (ფოტოასლი სტატიისა იმ სახით, როგორც პირველად გამოქვეყნდა ბეჭდურ მედიაში);

კატეგორია „აუდიო-ვიზუალური სიუჟეტი“: ხარისხიანი ჩანაწერი პორტატულ მეხსიერებაზე ან DVD დისკზე (მაგ.: mpeg, avi, wmv ფორმატში), ამასთან დასახელება და თარიღი პროგრამისა, სადაც სიუჟეტი პირველად გავიდა ეთერში;

კატეგორია „სოციალური მედიის პროფილი/ბლოგი“: სამუშაოს პორტფელი (5-6 „სკრინშოტი“), ბმული და ონლაინ რესურსის აღწერა;

კონკურსში მასალის წარმოდგენის ბოლო ვადაა **2013 წლის 15 ნოემბერი**;

შესაძლებელია გუნდური მონაწილეობა (არაუმეტეს სამი ადამიანისა);

მონაცემთა გაცვლის სააგენტო იტოვებს უფლებას, გამოიყენოს კონკურსში წარმოდგენილი მასალა მთლიანად ან ნაწილობრივ პრეზენტაციებსა და მედიაში;

კონკურსში მონაწილეობა გულისხმობს, რომ ჟურნალისტები კითხულობენ/იგებენ/ეთანხმებიან კონკურსის წესდებასა და პროცედურას და რომ მათ მონაწილეობის შესახებ ნებართვა აქვთ მიღებული თავიანთი პროდიუსერების/რედაქტორებისგან; ჟიურის წევრებსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებს, ისევე როგორც ევროკავშირის დადმობილების (TWINNING) პროექტის ექსპერტებს, არ აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება.

ჟიური:

საკონკურსო მასალას შეაფასებს დამოუკიდებელი ჟიური.

გამარჯვებულის გამოცხადება:

კონკურსის შედეგები გამოცხადდება GITI კონფერენციის (28-29 ნოემბერი) ფინალური ცერემონიის დროს, 2013 წლის 29 ნოემბერს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მამუკა კახნიაშვილი

მობ.: (+995) 577 62 04 03; ელ.ფოსტა: mkakhniashvili@dea.gov.ge

GITI 2013



პარტნიორობა კონკურენტუნარიანობის, ინოვაციებისა და ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის

მე-6 რეგიონალური კონფერენცია/დაჯილდოება

კიბერუსაფრთხოება და IT ინოვაციები 2013


28-29 ნოემბერი, 2013

თბილისი, საქართველო

ორგანიზატორები:

საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭო
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო

მხარდამჭერი:



დაგვიკავშირდით:
GITI2013@ictbc.ge

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.